

ქართული ეროვნული იდენტობა და გლობალიზმი: წინააღმდეგობა თუ თანხვედრა?

მარიამ ხუჭუა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი


მიმართულება: საზოგადოებრივი გეოგრაფია

დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, მარშალ მაკლუჰანის „გლობალური სოფლის“ თეორიის მიხედვით, დრო და სივრცე ისეთნაირად „შევიწროვდა“, რომ ყველაფერმა დაკარგა ტრადიციული იდენტობა. კულტურათა ჰომოგენიზაციამ და ჰიბრიდიზაციამ წარმოშვა ერთიანი მსოფლიო სახელმწიფო საერთო კულტურით და ღირებულებებით. გაჩნდა შიში, რომ მრავალფეროვნება, რაც მსოფლიოს ახასიათებს, დავიწყებას მიეცემა. პატარა სახელმწიფოებში გაჩნდა დიდი სახელმწიფოების მიერ მათი შთანქმისა და გაქრობის შიში. ადამიანებმა დაიწყეს თავიანთი იდენტობის შენარჩუნებაზე ფიქრი, თითქოს გადაწყვიტეს, სირაქლემსავით, ქვიშაში თავის ჩაყოფა და გლობალიზმის უარყოფა. თუმცა ფაქტია, სირაქლემამ შეიძლება თავი დამალოს, მაგრამ მთლიანად ვერ ჩაძვრება მიწაში, ოდესმე მაინც მოუწევს იქედან ამოსვლა და რეალობისთვის თვალის გასწორება.“

საქართველო სწორედ გლობალიზაციის მოვლენის გარკვევისა და მისი ხასიათის შესწავლის პროცესშია. ამ პროცესმა ქართული იდენტობის საკითხი კვლავ წინა პლანზე წამოწია. გაჩნდა კითხვა: ქართული ეროვნული იდენტობა და გლობალიზმი ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია თუ თანხვედრაში? ჩემი სუბიექტური აზრით, ამ კითხვაზე პასუხი ცალსახა ვერ იქნება იმ მიზეზიდან გამომდინარე, რომ თავად ეროვნული იდენტობის ცნება და გლობალიზმის განმარტება სხვადასხვანაირად აღიქმება ეთნოსის მიერ.

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ 2013 წელს ეროვნული იდენტობის შესახებ ჩატარებული რეპრეზენტატული გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტებს უნდა განესაზღვრათ თავიანთი დამოკიდებულება იმ ღირებულებებისადმი, რომლებიც „ჭეშმარიტი ქართველის“ ძირითად მახასიათებლებად განიხილება. მონაცემები ასეთია:

იმისთვის, რომ იყო ჭეშმარიტი ქართველი, საჭიროა:



დიაგრამა გვიჩვენებს, რომ ჭეშმარიტი ქართველობისთვის მთავარია თავს გრძნობდე ქართველად. ჩამოთვლილთაგან ყველაზე ნაკლები ღირებულება ენიჭება საქართველოში დაბადების ფაქტორს (49,9%).¹ საინტერესოა, რა გვავარაუდებს თავს ქართველად? რა არის ის ძირითადი მახასიათებლები, რის გამოც ვიქცევით ჭეშმარიტ ქართველებად? და როგორ გავლენას ახდენს გლობალიზაცია ამ მახასიათებლებზე? დავიწყეთ თავიდან და განვიხილოთ ზოგადად ეროვნული იდენტობის მნიშვნელობა თანამედროვე სამყაროში.

ეროვნული იდენტობა, როგორც კოლექტიური იდენტობის „პროტოტიპი“, განსაზღვრულია გარკვეული ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის ხარისხით. თეორეტიკოსები მიიჩნევენ, რომ ეროვნული იდენტობის განცდის ხარისხი და ხასიათი დროის მიხედვით იცვლება და ამ პროცესს საზოგადოებისთვის აქტუალური პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა ფაქტორები განსაზღვრავს.

ქართული ნაციონალიზმი მე-19 საუკუნეში წარმოიშვა. ეს იმ პირობებში მოხდა, როდესაც ქართული სახელმწიფოებრიობა გაუქმებული იყო რუსეთის იმპერატორის მიერ და მაშინდელი საქართველო, ორი გუბერნიის სახით, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ქართული ნაციონალიზმი და ეროვნული იდენტობა ეთნო-კულტურულ ფაქტორებს დაეფუძნა. 1980-იანი წლების დასასრულს, სსრკ-ს

¹ „ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია“- კვლევის ანგარიში „კავკასიის შვეიცარული აკადემიური ქსელი“- ოსეფაშვილი ირინა, ბოგიშვილი დიანა, 2016 წელი

რღვევის პროცესში სწორედ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა იქცა საზოგადოების უპირველეს მოთხოვნად. მას შემდეგ, რაც სსრკ დაიშალა და საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, გაეროს წევრი გახდა (1992), თანდათან საზოგადოება დადგა „ეროვნების“, ეროვნული იდენტობის ახლებური გააზრების აუცილებლობის წინაშე.

დავუბრუნდეთ კითხვას: რა იგულისხმება ქართველობაში და რა მახასიათებლები აქვს ქართულ იდენტობას? აქვე აღვნიშნავ, რომ არ განვიხილავ ისეთ საკითხს, როგორცაა საერთო ენა, საერთო წარსული, რადგან ეს თემები, ვფიქრობ, კითხვებს არ ბადებს და ზოგადად ყველა ერის იდენტობისთვის მნიშვნელოვანი მახასიათებლებია.

განვიხილოთ ტრადიცია, როგორც ქართული იდენტობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი - თუ ადამიანი ეთნიკური ქართველებისათვის დამახასიათებელ საკვანძო ღირებულებებსა და ნორმებს არ იზიარებს, მაშინ რთულია მისი ქართველად აღქმა, მიუხედავად მისი წინაპრების ვინაობისა. ხშირად გვესმის ფრაზა: „ეს ქართული ტრადიციაა და მას უნდა გავუფრთხილდე“; „ჩვენ ოდითგანვე მოგვეყვება ესა თუ ის ხასიათი, ქცევა და ახალი თაობა უნდა ეცადოს მის შენარჩუნებას“. თუმცა, ზოგჯერ გვავიწყდება იმაზე ფიქრი, რომ ყველა ტრადიცია ვერ და არც უნდა შენარჩუნდეს. დრო იცვლება. ყოველ ტრადიციულ სოციუმში დროთა განმავლობაში ჩნდება ინოვაციები, რომელთა ნაწილი თანდათანობით გადაიქცევა ტრადიციად, ნაწილი კი ქრება. ნებისმიერი ტრადიცია ოდესღაც ინოვაცია იყო და ნებისმიერი ინოვაცია მომავალი, პოტენციური ტრადიციაა.² თაობა ახლებურად იაზრებს უკვე არსებულს, და უკვე გააზრებულს. ახალი თაობა აანალიზებს თითოეულ ტრადიციას და განიხილავს მის შინაარსობრივ მხარეს. ის წყვეტს, მოსწონს ეს მას და მის თაობას თუ მზად არის ჩააბაროს წარსულს. მაგალითად, სუფრის და თამადის ტრადიცია, ქელეხის ტრადიცია, სვანეთში სისხლის აღების ტრადიცია. ჩვენი თაობა, 21-ე საუკუნის თაობა, თანდათან უარს ამბობს ამ ტრადიციებზე. დღევანდელ სამყაროში, უზენაესი სასამართლოს არსებობის პირობებში, რამდენად სწორი და რაციონალურია სისხლის აღების ტრადიცია და მისი შენარჩუნება?!

ცალკე განხილვის საგანია სუფრა. აქ მოსაზრებები ორად იყოფა. ერთის მხრივ, სუფრის ტრადიცია უნდა შენარჩუნდეს ტრადიციული სახით, მეორე მხრივ, ახალგაზრდა თაობა ცვლის სუფრის წესებს. თანამედროვეობაში უკვე კრიტიკულად უდგებიან თამადის, როგორც

² „ქართველთა ეთნიკური იდენტობის ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევა მოდერნულ კონტექსტში“ - ვლადიმერ გამსახურდია, მარტი, 2016

სუფრის ლიდერის ფუნქციას, სასმელის დამალვების, თამადის თუ სუფრის სხვა წევრთა მონოტონური სადღეგრძელოების წარმოთქმის განსაზღვრული წესებისა და თანმიმდევრობის ტრადიციას. თუმცა მინიმალური სახით, კულტურულ ფარგლებში, სასურველია, შენარჩუნდეს სუფრის ტრადიცია, რადგან ეს ჩვენი იდენტობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ოდითგანვე ხომ ქვეყნისთვის საჭირობოროტო საკითხებიც კი სუფრასთან, ერთი ჭიქა ღვინით ხელში განიხილებოდა. აქედან გამომდინარე, სუფრა დღესაც, გლობალიზაციის პირობებშიც, აგრძელებს სიცოცხლეს, აგრძელებს თანამედროვეობის, დღევანდელი კულტურული თვითშეგნების შესაბამისი ფორმით სიცოცხლეს.

განვიხილოთ მართლმადიდებლობა. უკანასკნელი წლების მანძილზე განხორციელებულ გამოკითხვების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის ოთხმოც პროცენტზე მეტი მართლმადიდებელ ქრისტიანად თვლის თავს (CRRC, 2014). რესპონდენტთა თქმით, მართლმადიდებლობა არ გულისხმობს ქართველობას, თუმცა, პოპულარული დისკურსის მიხედვით, ქართველობა თითქმის ავტომატურად გულისხმობს მართლმადიდებელ ქრისტიანობას. ანუ, თუ ადამიანი ქართველია, არსებობს მოლოდინი, რომ ის მართლმადიდებელი ქრისტიანი იქნება. არის თუ არა გლობალიზმი საფრთხის შემცველი მართლმადიდებლობისთვის? რელიგიამ დიდი გზა განვლო დღევანდელი დღემდე, საბჭოთა კავშირი ათეიზმის აღორძინების პერიოდი იყო, თუმცა ქართველმა ხალხმა მაინც შეინარჩუნა რელიგიურობა. ექსპერტთა შეფასებით, მოსახლეობის ამგვარ განწყობას განაპირობებს სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარების დაბალი დონე და მათდამი ნდობის ნაკლებობა. მიუხედავად ზედაპირული დამოკიდებულებისა (უკანასკნელი გამოკითხვებით რესპონდენტთა მხოლოდ 20-21 პროცენტი მარხულობს რეგულარულად (CRRC, 2014)), მართლმადიდებლობა ჯერ კიდევ ქართული იდენტობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია და გლობალიზაცია არ გამორიცხავს რელიგიურ პლურალიზმს. რელიგია გრძნობის ამბავი უფროა, ვიდრე გონების. ჩვენ გვინდა რაღაცის, ვიღაცის გვწამდეს და ვცდილობთ გონება არ ჩავრთოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში იმდენ პასუხგაუცემელ კითხვას ვიპოვით, შეიძლება რწმენა შეგვერყას. სწორედ განათლება და თაობის მიერ დასმული ბევრი კითხვა იწვევს რელიგიის არსის ეჭვქვეშ დაყენებას. ჩემი აზრით, ათეიზმის გავრცელებას იწვევს რელიგიის თემში გონების ჩართვა და ტექნოლოგიური თაობის განვითარება, რომელთათვისაც დიდი აფეთქების თეორია უფრო რეალურია, ვიდრე ადამის და ევას ისტორია. გლობალიზაცია

განვითარებას აჩქარებს და პრობლემაც ესაა, ასეთი სწრაფი ცვლილებები ადამიანებს აშინებთ და აბნევთ.

რაც შეეხება კონსერვატიულობას: გლობალიზაციისადმი შიში ამ ნიშან-თვისების გამო ყველაზე მკაფიოდ გამოიკვეთა. ჩვენ, ქართველები, უმეტესწილად, კონსერვატიულები ვართ. ეს არც არის გასაკვირი 70-წლიანი საბჭოთა იდეოლოგიის ფონზე. საგანთა და მოვლენათა არსისადმი დაშტამპულმა მიდგომამ უკიდურესად გაართულა განვითარებული ქვეყნების საზოგადოების კრიტერიუმებთან მიახლოება. შესაბამისად, ჩვენი მშობლების თაობისთვის სიტყვა „თავისუფლების“ დღევანდელი მნიშვნელობა ბუნდოვანია და ამ ტერმინის განმარტება ყოველთვის ხდება თაობათა შორის კამათის მიზეზი. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ უახლესი მაგალითი, კლუბ „ბასიანის“ დარბევის გასაპროტესტებლად გამოსული ახალგაზრდობა იქ თავისუფლების დასაცავად გამოვიდა. იქ ის ახალგაზრდობა იდგა, რომელიც ღამეებს ათენებს სწავლაში, სტიპენდიისთვის, საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობის მოპოვებისთვის. მაგრამ უფროსი თაობა მხოლოდ გარყვნილებას და აღვირახსნილ, სითავხედეში გადასულ თავისუფლებას ხედავდა. ეს თაობათა ბრძოლაა. საბჭოთა კავშირში აღზდილი ახალგაზრდა ვერასდროს ვერ იქნება დღევანდელი საზოგადოების ნაწილი. რთულია ასეთი რევოლუციური ცვლილები გაითავისო ადამიანმა, რომლისთვისაც ევროპა და ამერიკა სხვა პლანეტასთან ასოცირდებოდა და რომლის თაობაც ქვეყნის გათავისუფლების მცდელობაში იყო. მათთვის რთულია ერთმანეთთან გააიგივონ 9 აპრილის ბრძოლა თავისუფლებისთვის და ტექნომუსიკაზე ცეკვა პარლამენტის წინ თავისუფლებისთვის. სწორედ აქ იკვეთება ეროვნული იდენტობის საკითხი და გარემო, დრო და სივრცე. საბჭოთა პერიოდში ადამიანებს ქვეყნის გათავისუფლების იდეა აერთიანებდა, დღეს დამოუკიდებელ საქართველოში ახალგაზრდები სხვა საკითხებით არიან დაინტერესებულნი. თავიანთი თავისუფლებისთვის იბრძვიან. იმ თავისუფლებისთვის, რომელიც მათთვის ახლო, ხოლო ძველი თაობისთვის უცხოა.

საბოლოოდ, ეს ყველაფერი რომ შევამაჯამო და მე, როგორც ახალი თაობის წარმომადგენელმა, ვცადო კითხვაზე - ქართული ეროვნული იდენტობა და გლობალიზაცია წინააღმდეგობაშია თუ თანხვედრაში? - პასუხის გაცემა, ვიტყვოდი, რომ გლობალიზაცია არ არის მთავარი მოვლენა, არამედ გლობალიზაცია არის ერთ-ერთი შედეგი თაობათა განვითარებისა. გლობალიზაცია არ ქმნის საფრთხეს განვითარებული, განათლებული საზოგადოებისთვის. განათლებული საზოგადოება თავად მართავს გლობალიზაციას.

ქართული იდენტობა არ არის საფრთხის წინაშე. საფრთხის წინაშეა ის დრომოჭმული ტრადიციები, წესები და ქცევები, რომელიც ძველი წლების გადმონაშთია და რომელთა ადგილიც თანამედროვე სამყაროში არ არის. ჩემთვის გლობალიზაცია, ევროპა კანონის უზენაესობასთან, ადამიანთა უფლებებთან, უმცირესობების დაცვასთან, დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების პროცესებთან არის დაკავშირებული.

მე მომწონს, რომ კაცობრიობა, მსოფლიო საზოგადოება მუდმივ დინამიკაშია; მუდმივად იზრდება, იცვლება, იხვეწება, ახალს ითავისებს, სტერეოტიპებს ებრძვის, დოგმებს ამსხვრევს, ტაბუებს ხსნის, კომპლექსებისაგან თავისუფლდება. მომწონს ისეთი განათლების რეფორმა, რომელიც ზემოდან არ გვაძლევს მზა პასუხებს და გვაძლევს უფლებას საკუთარი დასკვნები გამოვიტანოთ. მომწონს საზოგადოება, სადაც მთავარი არა თმის ფერი ან ქუჩური ტერმინოლოგიის ცოდნის ხარისხი, არამედ განათლებაა. საზოგადოება, რომელიც კვლავ სუფრის გარშემო იკრიბება და რომლისთვისაც ყანწების ნაცვლად ერთი ჭიქა ღვინო და ურთიერთობებიც საკმარისია. მთავარია განათლებული საზოგადოების არსებობა, რომლის მართვაც შეუძლებელია, მთავარია ისეთი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც ცოდნის და არა შიშის და უცხო სუნდობლობის თეორიის საფუძველზე გადაწყვეტს ევროპა და კულტურათა დაახლოება კარგია თუ ცუდი. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში ვაჟამ განმარტა: „პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.“